განკარგულება:**g-27. 27232073**
თარიღი:**26/07/2023**

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 38

26 ივლისი 2023 წ.

ქ. თელავი

ანი ნერსეზაშვილის მიერ ქ. თელავში, სეხნიაშვილის ქუჩაზე მდებარე 286 კვ.მ. არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის შეძენისას ნაკისრი სააუქციონო პირობების შესრულების ვადის გაგრძელების შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24–ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად,

1. მიეცეს თანხმობა თელავის მუნიციპალიტეტის მერს, ანი ნერსეზაშვილს გაუგრძელოს ქ. თელავში, სეხნიაშვილის ქუჩაზე მდებარე 286 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 53.20.31.846; ნაკვეთის წინა კოდი: 53.20.31.466) შეძენისას პირობიან აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი, 2020 წლის 03 ივნისის N2 ოქმით ნაკისრი სააუქციონო პირობების **(ა) მყიდველი ვალდებულია შეძენილ უძრავ ქონებაზე 3 წლის ვადაში ააშენოს კომერციული დანიშნულების ობიექტი; ბ) შეძენილი ფართობის მინიმუმ 15%-ზე უზრუნველყოს მწვანე ზოლისა და პარკინგის მოწყობა)**, შესრულების ვადა 2 (ორი) წლით.

2. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია თელავის რაიონულ სასამართლოში, მისი ძალაში შესვლიდან 1 თვის ვადაში (მის: ქ. თელავი, დავით აღმაშენებლის გამზ. №41).

თენგიზი მთვარელიშვილი

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი